დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ინტერიერის დიზაინის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
არქიტექტურის ფაკულტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2023 წლის 4-5 ოქტომბერი
დასკვნის წარდგენის თარიღი
08/12/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 12

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 12

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 25

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 37

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 44

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 57

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანდრეას ვენგერი - ბაზელის ხელოვნებისა და დიზაინის აკადემია FHNW /ICDP, ინტერიერის არქიტექტურა და სცენოგრაფია, შვეიცარია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლელა კიკნაველიძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ნიკურაძე - შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოსო გაზრდელიანი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინტერიერის დიზაინი	ინტერიერის დიზაინი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინტერიერის დიზაინის ბაკალავრი Bachelor of Interior Design	ინტერიერის დიზაინის მაგისტრი Master of Interior Design
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0212 მოდის ინტერიერი და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	0212 მოდის ინტერიერი და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	—	—
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი	123 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 10. 21.2011 N141	აკრედიტებული 08.09.2012 N317

[1] (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები მთლიანობაში მაღალი ხარისხისაა, ზოგჯერ რთული პირობების მიუხედავად. პრინციპში, აკრედიტაციას არაფერი უშლის ხელს. საბედნიეროდ, 2023 წლის თვითშეფასებება გამოყენებულ იქნა საბაკალავრო და სამაგისტრო არსებულ პროგრამებში კორექტირებისა და ცვლილებების შესატანად, რაც უკვე განხორციელდა. ცალკეული მოდულების სასწავლო შინაარსი ნათლად არის აღწერილი, უკვე შეცვლილი სილაბუსები თანმიმდევრული და საბოლოოა. ინტერიერის დიზაინის კომპლექსური სფეროს კლასიფიკაცია კერძო და საჯარო სივრცის დიზაინს შორის, რომელიც მოიცავს ინტერიერსა და ექსტერიერს და ემსახურება ფართო სფეროს არქიტექტურასა და ავეჯს/ დეკორაციას შორის, კარგად არის განლაგებული.

იმისთვის, რომ სამაგისტრო პროგრამის შემდეგ გაგრძელდეს სადოქტორო პროგრამა და საერთაშორისო დისკურსში თავსებადობის შესანარჩუნებლად, ასევე აკადემიური გაცვლის გაზრდის მიზნით, უნდა გაუმჯობესდეს უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისური ენის, უნარები მთლიანობაში. ეს ეხება არა მარტო სტუდენტებს, არამედ განსაკუთრებით ლექტორებსა და პროფესორებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ჩატარდა ადგილზე დაგეგმილი ყველა შეხვედრა, ასევე აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი შენობებისა და ინფრასტრუქტურის დეტალური დათვალიერება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გრიბოედოვის ქუჩის # 22 კამპუსის შენობებში განთავსებულია არქიტექტურის ფაკულტეტი, რომელსაც ეკუთვნის ინტერიერის დიზაინის პროგრამები, ასევე დიზაინისა და ხელოვნების სხვა პროგრამები, რისი დადგენა შეუძლებელია თვითშეფასების ანგარიშიდან. ინტერიერის დიზაინის სტუდენტებისთვის ხელსაყრელია დიზაინისა და ხელოვნების სხვა დისციპლინების სტუდენტებთან სიახლოვე და ურთიერთობა.

ადგილზე ვიზიტის დრო მკაფიოდ განმარტეს პროგრამების სილაბუსში არსებული ადაპტაციები (კომუნიკაციის წარმართვის ხელოვნება, ვიტრინის დეკორაციის ფსიქოლოგიური საფუძველი, კონსტრუქციის ფიზიკა, ენერგოეფექტურობა ინტერიერის დიზაინში და ა.შ.).

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს,

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

რამდენადაც ეს ექსპერტებმა დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დაადგინეს. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მომსახურება. თუმცა, იმისთვის, რომ პროგრამა გრძელვადიან პერსპექტივაში და მდგრადად გაგრძელდეს, აუცილებელია პედაგოგიური პერსონალის გაფართოება, განსაკუთრებით პროფესორების. მისასალმებელია სასწავლო პროგრამების სივრცითი, ინფრასტრუქტურული და ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება და ამ მიმართულებით აქტივობები უნდა გაგრძელდეს პროფესიული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს განსაკუთრებით ეხება პროგრამების ციფრულ აღჭურვილობას ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფით.

სტანდარტი 1
- ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა) - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა) - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტანდარტი 2
- ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა) - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა) - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტანდარტი 3
- ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა) - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა) - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტანდარტი 4
- ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა) - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა) - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტანდარტი 5
- ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა) - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა) - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- **რეკომენდაციები**

აკრედიტაციის ექსპერტები აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ექვს რეკომენდაციას აძლევენ:

1. რეკომენდებულია საერთაშორისო მობილობის გაზრდა და გაცვლითი პროგრამების დამატება.
2. რეკომენდებულია მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებას, განსაკუთრებით სამეცნიერო აპარატის და აკადემიური წერის სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით, რათა საკვალიფიკაციო ნაშრომმა შესაბამისი ფორმა მიიღოს.
3. ნაშრომებში აღნიშნული მიმართულებით ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად რეკომენდებულია აკადემიური წერის უნარ-ჩვევების და მასთან ერთად დარგის შესაბამისი კვლევის მეთოდების სწავლება სამაგისტრო დონეზე.
4. რეკომენდელია ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად გაიზარდოს ფაკულტეტის ციფრული აღჭურვილობა აპარატურით და პროგრამული უზრუნველყოფით. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ყველაზე თანამედროვე სამუშაო გარემო

CAAD- ისა (კომპიუტერული არქიტექტურული დიზაინი - Computer Aided Architectural Design) და ვიზუალიზაციის პროგრამებისთვის, განსაკუთრებით გაფართოებული და ვირტუალური რეალობის აპლიკაციების განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

5. რეკომენდებულია აკადემიამ პრიორიტეტად მიიჩნიოს ბიბლიოთეკის განახლება/ რეკონსტრუქცია და შექმნას სივრცე სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში სამუშაოდ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის.
6. რეკომენდებულია გაიზარდოს ბიუჯეტი კონკრეტული პედაგოგიური პერსონალისთვის (პროგრამის აკადემიური პერსონალისთვის) ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის; ეს ეხება ინტერიერის დიზაინის დარგში პროფესორებს, განსაკუთრებით მაგისტრატურაში (იხ. 4.1).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

შესწავლილი დოკუმენტებისა და ჩანაწერების საფუძველზე და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების წარმომადგენლებთან ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შემდეგ, აკრედიტაციის ექსპერტებმა ჩამოაყალიბეს შემდეგი რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია, რომ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული მდგრადობის კრიტერიუმებზე. ამ კუთხით სასარგებლო იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგი 2030 და მისი მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs), რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. ინტერიერის დიზაინი განსაკუთრებით ახასიათებს, საშუალებას აძლევს და აყალიბებს საზოგადოებებში სოციალურ პროცესებს. დიზაინის პრაქტიკის სწავლებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის მატერიალური, ენერგეტიკული და სოციალური პროცესები, რომლებზეც გავლენას ახდენს ინტერიერის დიზაინი;
2. პრაქტიკული კურსების პროცესში, კლასტერის სხვა პროგრამებთან ერთად სასურველია ინტერდისციპლინური პროექტების შემუშავება;
3. სასურველია კრეატიულობის გაზრდა მშენებლობისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ინტერიერის დიზაინში სხვადასხვა მასალებისა და ხელსაწყოების გაერთიანება რთული მიდგომების გამოყენებით;
4. სასურველია ინტერიერის დიზაინის სფეროში კომპანიებთან პროფესიული ურთიერთობების შემდგომი გაფართოება;
5. სასურველია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ზოგადად კვლევით პროექტებში; გაიზარდოს მათი ჩართულობა ინდივიდუალური ან აკადემიური თანამშრომლობის საფუძველზე კვლევით პროექტებში;
6. სასურველია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა თეორიულ კვლევით პროექტებში; მიმდინარე პროექტების რეალურ პრაქტიკაზე დამყარების უზრუნველყოფა, პროექტის აქტივობებში სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა;

7. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში აღწერილი სამუშაო ასახავს მხოლოდ დიზაინის მიდგომებს და მასში არ არის ასახული არც ტექნოლოგიური პროცესი და არც განათლების ახალი ფორმები;
8. კლასტერული პროგრამების თვითშეფასებისას სასურველია კონკრეტულად მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გავლილ ტრენინგთან/ საგანმანათლებლო მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგის შინაარსი;
9. სასურველია, ხშირად დაიგეგმოს სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები;
10. სასურველია გაიზარდოს და გაახალგაზრდავდეს დარგის პედაგოგიური პერსონალი ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, განსაკუთრებით ინტერიერის დიზაინის მიმართულებით;
11. სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პერსონალი ყურადღებით იყოს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ პლაგიატის საკითხებთან;
12. სასურველია გაუმჯობესდეს პედაგოგების პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. მათ უნდა იგრძნონ უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რათა საუკეთესოდ მოირგონ თავიანთი პედაგოგიური როლი;
13. უნდა გაუმჯობესდეს საფაკულტეტო ფინანსური რესურსები მიმდინარე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის, კერძოდ სასწავლო მასალების, სახარჯო მასალებისა თუ ხელსაწყოების, ექსკურსიების, გარე ლექციებისა და წიგნების შესაძენად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

ადგილზე ვიზიტის დროს და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პედაგოგებთან ჩატარებული დისკუსიებიდან აკრედიტაციის ექსპერტებმა მიიღეს შთაბეჭდილება, რომ პედაგოგებსა და სტუდენტებს და ყოფილ სტუდენტებს შორის არაფორმალური და ფორმალური კომუნიკაცია ეფექტური და კარგად განვითარებულია. აკრედიტაციისთვის მომზადებულ თვითშეფასების ანგარიშში ამ ფაქტორის რუბრიკა წარმოდგენილი არ არის. პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციის ეს პრაქტიკა არ არის საკმარისი სტუდენტების წინსვლისთვის; ის აუცილებლად შემდგომ უნდა განვითარდეს.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ-თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ წარმოდგენილი წერილობითი უკაკავშირი არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით არქიტექტურის ფაკულტეტის ,,ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე. არქიტექტურის ფაკულტეტი ითვალისწინებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ექვს ძირითად რეკომენდაციას. უკუკავშირის თანახმად, ზოგიერთი რეკომენდაცია გათვალისწინების პროცესშია, თუმცა არ არის ცნობილი დასრულების თარიღები (3.1; 3.2; 3.3; 4.4). არქიტექტურის ფაკულტეტი ითვალისწინებს რეკომენდაციას (4.4) ციფრული ინფრასტურქტურის გაუმჯობესების და (4.5) პროგრამების აკადემიური პერსონალით გაძლიერების თაობაზე. ექსპერტების მოსაზრებებით აღნიშნული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია პროგრამების მდგრადი განვითარებისათვის.

ფაკულტეტი მხოლოდ ნაწილობრივ გამოეხმაურა რჩევების ვრცელ ჩამონათვალს, სავარუდოდ უკუკავშირის წარმოსადგენად განსაზღვრული დროის სიმცირის გამო. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს აღნიშნულ გარემოებას. რჩევები ჩამოყალიბებულია დადებითი ექსპერტიზის საფუძველზე და გულისხმობს როგორც „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ასევე ფაკულტეტს. უნივერსიტეტს შეუძლია მხედველობაში მიიღოს ან უარი განაცხადოს აღნიშნული რჩევების გათვალისწინებაზე პროგრამების განვითარების მიზნით.

ექსპერტები ვერ ხედავენ მიზეზს დასკვნიდან ამოიღონ რეკომენდაციები და რჩევები ან შეამსუბუქონ მათი შინაარსი, ვინაიდან ისინი ეთანხმებიან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. ექსპერტებს მიაჩნიათ რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები მიმართულია პროგრამების და საგანმანათლებლო დაწესებულების შემდგომი განვითარებისაკენ.

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თვითშეფასებაზე პასუხისმგებელმა პირებმა გამოიყენეს ანგარიშის მომზადება სილაბუსების კარგად დასაბუთებისთვის და ასევე გამოიყენეს თვითშეფასება სასწავლო გეგმებში თემატური და შინაარსობრივი ცვლილებების შესატანად და უკვე განახორციელეს ისინი. აკრედიტაციის კომისიამ ეს ძალიან დადებითად შეაფასა და შეაქო.

„ძირითადი საგნების“, „სპეციალობის კურსების“ და „არჩევითი საგნების“ ნაწილში შეტანილი კორექტირება და ცვლილებები უაღრესად გონივრულია. ამგვარად, პროგრამების მიზნები და შინაარსი შეიძლება უფრო გამკაცრდეს და უკეთ მოერგოს მოთხოვნებს (იხ. სტანდარტი 1.1).

ზოგადად სასიამოვნოა უკვე განხორციელებული ცვლილებები და დაგეგმილი პროექტები ფაკულტეტზე სწავლის ზოგადი პირობების გასაუმჯობესებლად. იმედი უნდა გვქონდეს, რომ მათი დროულად განხორციელება და გაუმჯობესება შესაძლებელია.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ბოლო აკრედიტაციის შემდეგ გადაწყდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ყველა საბაკალავრო პროგრამაზე უცხო ენების კურსების კრედიტების 12 კრედიტამდე გაზრდა. ეს ცვლილება განხორციელდა და, როგორც ჩანს, წარმატებულია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ცვლილება ნაწილობრივ სტუდენტთა გამოკითხვებს ეფუძნებოდა.

ზოგან უკვე დასრულებულია კამპუსის შენობის ინფრასტრუქტურის განახლება და მოვლა, ზოგან - ჯერ კიდევ მიმდინარეობს. იმედია და სასურველია, რომ ეს სამუშაო დროულად შესრულდება.

საჭიროა გაიზარდოს პედაგოგთა ხელფასები. იმედია აკადემიური პერსონალის ზოგადი პირობები გაუმჯობესდება.

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და ფაკულტეტზე პასუხისმგებელმა პირებმა აღიარეს, რომ ინტერიერის დიზაინის კურსების ტექნიკურ აღჭურვილობას სასწრაფოდ სჭირდება ინფრასტრუქტურის ციფრული აღჭურვილობის განახლება ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფით, რათა სტუდენტებს თანამედროვე პირობები შეუქმნან და დაუსახონ მომავალი სამუშაო სამყარო.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]

2. კლასტერული შეფასება[5]

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე,

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული

შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული სასწავლო სფეროს შესაბამისად და ვითარდება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კლასტერში გაერთიანების მიზანი უკავშირდება ინტერიერის დიზაინის სტუდენტების მომზადებას ინტერდისციპლინური სფეროსთვის, რომელიც წარმოადგენს არქიტექტურის ცენტრალურ ნაწილს, ამავე დროს, ინტერიერის დიზაინის პროფესიონალური სფერო ემთხვევა მხატვრულ, გამოყენებით და დეკორატიულ დარგებს, ასევე საინჟინრო- ტექნიკურ დისციპლინებსა და ჰუმანიტარულ საუნივერსიტეტო მიმართულებებს. ამ მხრივ, ორი პროგრამის მიზნები ემთხვევა აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიზანს, გააერთიანოს სხვადასხვა დარგის პროფესიონალების მომზადება ლიბერალური და გამოყენებითი ხელოვნების ქოლგის ქვეშ.

ამ თვალსაზრისით, ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები დიდად სარგებლობენ ლიბერალური და გამოყენებითი ხელოვნების სიახლოვით. ინტერიერის დიზაინის სტუდენტების მხატვრული და შემოქმედებითი თავისუფლება მნიშვნელოვნად დაზარალდება, თუ ისინი დაუკავშირდება, მაგალითად, ინჟინერიაზე ორიენტირებულ დეპარტამენტს.

ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ინტერიერის დიზაინის, როგორც ინტერდისციპლინური სფეროს არსი და ძირითადი პრინციპები, მიდგომები, თანამედროვე თეორიები, ეთიკის პროფესიული სტანდარტები და შრომის უსაფრთხოება, ხოლო სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ინტერიერის დიზაინის პრაქტიკული მიმართულებების გაერთიანებაზე უახლეს არქიტექტურულ თეორიებთან, საინჟინრო დისციპლინებთან, გამოყენებითი ხელოვნების მოთხოვნებთან და ეკონომიკურ საკითხებთან:

გააერთიანოს და გამოხატოს ფუნქციური, მოცულობით- სივრცითი, საინჟინრო, მხატვრულ-ესთეტიკური, ფერის, განათების და აკუსტიკური მოთხოვნები ატმოსფერულად.

ის ფაქტი, რომ ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ახლოს არის დიზაინისა და ხელოვნების სხვა პროგრამებთან სივრცისა და შინაარსის თვალსაზრისით, მხოლოდ ადგილზე ვიზიტის დროს გახდა თვალსაჩინო აკრედიტაციის ექსპერტებისთვის. ინტერიერის დიზაინის სტუდენტები ახლოს ურთიერთობენ დიზაინისა და ხელოვნების სხვა დისციპლინების სტუდენტებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)[6]

ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტებს ასწავლოს ინტერიერის დიზაინის მეთოდები ლოგიკური შემოქმედებითი პროცესის შედეგად. თანამედროვე ინტერიერის დაპროექტება ნიშნავს მთელი რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც ორგანულად მოიცავს მოთხოვნების მთელ კომპლექსს: ფუნქციონალური, მოცულობით-სივრცითი, ტექნიკური, მდგრადი და მხატვრულ- ესთეტიკური. თითოეული საპროექტო-სივრცითი ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება ყველა ამ მოთხოვნის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით შიდა და გარე სივრცეებში.

ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამაში, დიზაინის საფუძვლების სწავლება ნათლად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული ცხრა პუნქტად თვითშეფასების ნაწილში „პროგრამის მიზანი“. კურსის კრედიტების განაწილება ძირითადი საგნების (18 ECTS), სპეციალობის კურსების (140 ECTS), საუნივერსიტეტო კურსების (36 ECTS) და არჩევითი საგნების (46 ECTS) მიხედვით გონივრულია.

"სპეციალობის კურსების" დაყოფა ინტერიერის დიზაინის საგნებად (101 ECTS), თეორიულ საგნებად სპეციალობაში (18 ECTS) და საგნებად საინჟინრო სპეციალობაში (21 ECTS) გონივრულია საბაკალავრო პროგრამისთვის.

ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის ციფრული აღჭურვილობა, როგორიცაა ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა, ამჟამად არასაკმარისია თუ გავითვალისწინებთ სტუდენტების რაოდენობას, რაც ვერ მოამზადებს მათ სათანადოდ მათი შემდგომი პროფესიული ცხოვრებისთვის. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ციფრული სამუშაო გარემო CAAD- ისთვის (computer aided architectural design) და მაქსიმალურად განახლებული ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფისთვის. გაძლიერებული და ვირტუალური რეალობის აპლიკაციები პროფესიულ გარემოში სწრაფად ვითარდება და მოითხოვს დიდი გამოთვლითი შესაძლებლობების მქონე გარემოს (იხ. სტანდარტი 4.4).

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

ინტერიერის დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში კვლევის კომპონენტი ინერგება დიზაინის პროცესებში და, საბაკალავრო პროგრამისგან განსხვავებით, იზრდება თემებისა და ამოცანების სირთულე. უფრო მეტად არის გაშუქებული თანამედროვე არქიტექტურული თეორია, საინჟინრო დისციპლინები, გამოყენებითი ხელოვნების მოთხოვნები და ეკონომიკური საკითხები.

არსებითად, სამაგისტრო პროგრამა შექმნილია საბაკალავრო პროგრამაში შეძენილი საბაზისო ცოდნის გასაღრმავებლად და დასაკავშირებლად. ყურადღება გამახვილებულია ეკოლოგიური მასალების, სამშენებლო კონსტრუქციებისა და ენერგიის დაზოგვის სისტემების გამოყენებაზე ინტერიერის დიზაინში.

მაგისტრანტებისთვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის პროფესიონალური კომპიუტერული პროგრამების შესახებ ცოდნის მიწოდება მხოლოდ შეზღუდულად ხდება იმის გამო, რომ CAAD- ისა (Computer Aided Architectural Design) და ვიზუალიზაციის პროგრამების ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა შეზღუდულია. გაძლიერებული და ვირტუალური რეალობის აპლიკაციები, რომლებიც სწრაფად ვითარდება პროფესიონალურ გარემოში, საჭიროებენ გარემოს დიდი გამოთვლითი შესაძლებლობებით (იხ. სტანდარტი 4.4).

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადი და სათანადოდ ითვალისწინებს ინტერიერის დიზაინის განსაკუთრებულ მახასიათებლებს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის დონეზე. ორი საგანმანათლებლო პროგრამის დონე კარგია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. ციფრული ინფრასტრუქტურის ამჟამინდელი ხელმისაწვდომობა და აღჭურვილობა ნაწილობრივ აფერხებს ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში დასახული კურსის მიზნების მიღწევას. ორივე პროგრამა, სავარაუდოდ, სულ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული გაეროს დღის წესრიგის 2023 წლის მდგრადობის კრიტერიუმებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კრედიტების წონა: "ინტერიერის დიზაინი - საბაკალავრო პროგრამა"
- ციფრული აღჭურვილობა ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამისთვის: დაწესებულებაში ვიზიტი
- სასწავლო შინაარსის აღწერა: "საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში".

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, რომ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული მდგრადობის კრიტერიუმებზე. ამ კუთხით სასარგებლო იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგი 2030 და მისი მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs), რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. ინტერიერის დიზაინი განსაკუთრებით ახასიათებს, საშუალებას აძლევს და აყალიბებს საზოგადოებებში სოციალურ პროცესებს. დიზაინის პრაქტიკის სწავლებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მატერიალური, ენერგეტიკული და სოციალური პროცესები, რომლებზეც გავლენას ახდენს ან აყალიბებს ინტერიერის დიზაინი.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: იხილეთ კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რჩევები: იხილეთ კლასტერის საერთო რჩევები:

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: იხილეთ კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რჩევები: იხილეთ კლასტერის საერთო რჩევები:

შეფასება [7]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი,	☒	☐	☐	☐

[7] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

საბაკალავრო პროგრამა)				
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ინტერიერის დიზაინის პროგრამების მიზნებს და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელიც შეესაბამება შინაარსს.

სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დეტალურ აღწერას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კლასტერული სწავლის შედეგები თანმიმდევრულია შინაარსისა და სირთულის თვალსაზრისით. ისინი ძირითადად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს გააგრძელონ განათლება სწავლის შემდეგ საფეხურზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია კომპლექსურად, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტები ეტაპობრივად ეცნობიან დარგის სირთულეს. ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიული თეორიული საფუძვლები, სახვითი ხელოვნების ძირითადი პრინციპების გამოყენების მექანიზმები, ცოდნის მნიშვნელობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ისწავლება ისევე, როგორც სხვადასხვა ფუნქციის მქონე შენობების ზონირების, ფერისა და განათების თანამედროვე მეთოდები. სილაბუსის განახლებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, მაგალითად, „უცხო ენაში“, „კომუნიკაციის წარმართვის ხელოვნებაში“ ან „ვიტრინის დეკორაციის ფსიქოლოგიურ საფუძველში“. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს პროგრამაში საინჟინრო-ტექნიკური საგნების გაძლიერება, მაგალითად „შენობების ენერგოეფექტურობა“.

თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში, გადაიდგა არსებითი ნაბიჯები სასწავლო პროგრამის განახლებისთვის. იმედი გვაქვს, რომ პროგრამის განახლების პროცესი გაგრძელდება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

ინტერიერის დიზაინის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია კრეატიულად აზროვნების უნარზე, ფანტაზიის ძალის გამოყენებაზე და ადამიანებზე საერთო ფსიქოლოგიური და ესთეტიკური ეფექტის (მატერიალურობა, ფერი, განათება, გამწვანება, აკუსტიკა და ა.შ.) ასპექტების სიღრმისეულად ამოცნობაზე.

სამაგისტრო პროგრამა ასევე მეტ ყურადღებას უთმობს კომპლექსური ინფორმაციის შეგროვებას და პრობლემების ანალიზს ინტერიერის დიზაინის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით. მისი მიზანია განავითაროს კრიტიკული აზროვნება, ჩაატაროს ანალიზი და შეიმუშავოს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობით მოქმედების სტრატეგიები.

ეს უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მიზნები ემთხვევა სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს განაგრძონ განათლება შემდეგ საფეხურზე ან წარმატებით შევიდნენ შრომის ბაზარზე.

ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია და შეესაბამება შესაბამის კვალიფიკაციის დონეს, დეტალური სფეროს აღწერასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ისინი თავმოყრილია ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში და თანმიმდევრულია შინაარსის, კომპლექსურობისა და სირთულის თვალსაზრისით. ისინი ძირითადად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სწავლის შედეგების აღწერა: „საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში“.
- საბაკალავრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამა;
- შესაბამის საფეხურზე პროგრამების სასწავლო გეგმები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგები: დაწესებულებაში ვიზიტი,
- განახილებული სილაბუსი: განმართებითი გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:
არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
არ არის მითითებული

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: —

რჩევები: —

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: —

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რამდენადაც აკრედიტაციის ექსპერტებმა დაედგინეს წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და ადგილზე ვიზიტის დროს, სწავლის შედეგები ფასდება სასწავლო და კვლევით

კომპონენტში თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ინტერიერის დიზაინისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს ინტერიერის დიზაინის სასწავლო სფეროს სპეციფიკას და განათლების დონეს. იგი იყენებს შეფასების შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს, რაც შესაძლებელს ხდის განისაზღვროს, რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. ინტერიერის დიზაინის კლასტერული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შეესაბამება შემოთავაზებულ პროგრამებს.

პასუხისმგებელი პირები უზიარებენ გამოკითხვის შედეგებს კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს და აქტიურად ურთიერთობენ ყოფილ სტუდენტებთან და დამსაქმებელ კომპანიებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სწავლის შედეგების აღწერა: „საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში“.
- სწავლის შედეგები: გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.
- განახილებული სილაბუსი: განმართებითი გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:
არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
არ არის მითითებული

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: —

რჩევები: —

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: —

რჩევები: —

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

➢ პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამები ინტერიერის დიზაინში შემუშავებულია აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სასწავლო ციკლს.

პროგრამა შეესაბამება ECTS რეკომენდაციებს - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას. სასწავლო პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მათ ინდივიდუალურობას.

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია; ინტერიერის დიზაინის პროგრამების სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტები (მათ შორის ცალკეული მოდულები) ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და შინაარსის გასაგები განვითარება გარანტირებულია. შემდეგ საფეხურზე გადასვლის მოთხოვნები შესაბამისია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS-ს და შემდეგნაირად არის აგებული: ძირითადი საგნები (18 ECTS), სპეციალობის საგნები (140 ECTS), ზოგადი განათლების საგნები სასურველ სფეროში (36 ECTS) და არჩევითი საგნები 46 ECTS. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება სასწავლო შინაარსს და სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა ეფუძნება ECTS სისტემას, ის არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეფუძნება სტუდენტის დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

მიმართულებები "სპეციალობა/ ძირითადი", "საუნივერსიტეტო კურსები", "არჩევითი საგნები" და "სამაგისტრო ნაშრომი" 20 ECTS- ით ნათლად არის აგებული და მიმართულებების შეწონება შესაბამისი ჩანს.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურა არის თანმიმდევრული და კარგად განვითარებული; ინტერიერის დიზაინის პროგრამების დიდაქტიკური და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის ცალკეული მოდულები) გასაგები და ლოგიკურად სტრუქტურირებულია. გარანტირებულია შინაარსის გასაგებად განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სტრუქტურის აღწერილობა: „საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში“.
- ECTS-ს განაწილება: გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.
- განახილებული სილაბუსი: განმართებითი გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:
არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
არ არის მითითებული

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: —

რჩევები: —

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: —

რჩევები: —

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო სფეროს საგანმანათლებლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების სასწავლო საგნის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგებს. თითოეული აკადემიური კურსის ან მოდულის შინაარსი შეესაბამება მის სწავლის შედეგებს. თითეული კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ სასწავლო საათებს შორის თანაფარდობა შესატყვისია და ითვალისწინებს ინტერიერის დიზაინის თავისებურებებს. თითოეული მოდულის სწავლის შედეგები შეფასებულია იმდენად, რამდენადაც აკრედიტაციის ექსპერტებმა შეძლეს განესაზღვრათ ეს წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და ადგილზე ვიზიტის დროს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

კურიკულუმის შინაარსი შეესაბამება მასში შემავალი საგნების შედეგებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საერთო შედეგის მიღწევას. საბაკალავრო პროგრამის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ინტერიერის დიზაინის ბაკალავრიატის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ სასწავლო საათებს შორის კორელაცია სათანადოა და ითვალისწინებს ინტერიერის დიზაინის სპეციფიკას. განსაკუთრებული მახასიათებლები მოიცავს, მაგალითად, კვირაში 8 საათს, რომელიც განკუთვნილია სტუდიაში მუშაობისათვის. ეს დრო თანაბრად ნაწილდება სტუდენტსა და ლექტორს შორის შუალედური შედეგების განსახილველად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, მაგისტრატურაც ხასიათდება, როგორც შედეგზე ორიენტირებული პროგრამა. შედეგზე ორიენტაცია ითვალისწინებს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები) მოთხოვნებს. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურადაა აგებული და გონივრულადაა დაბალასებული: სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შემადგენელ საგნობრივ სფეროს, სპეციალურ მიმართულებას, სპეციალური არჩევით საგნებსა და სამაგისტრო ნაშრომს. საბაკალავრო პროგრამისგან განსხვავებით, სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ტექნიკური დიზაინის პროცესების სიღრმისეულ გააზრებას სივრცითი გარემოს დაგეგმარებისას; კონსტრუქციების, ავეჯის, სამშენებლო მასალების და მომსახურების სისტემების კომბინაციას ფუნქციურ და ეფექტურ ერთეულთან მიმართებაში.

კურიკულუმში ჩამოთვლილია სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. ისინი შეესაბამება საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურის აღწერა: „საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში“.
- ECTS-ის განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ სასწავლო საათებს შორის: „საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში“ და ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
- სილაბუსის განახლება: „საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში“ და ახსნა-განმარტებითი გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რეკომენდაციები და რჩევები არ არის.

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.5 აკადემიური კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების მოთხოვნები ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას და უზრუნველყოფს საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართულობას პროგრამის დასაუფლებლად; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; უსდ ადგენს საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

„ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურები შემდეგია:

სრული ზოგადი განათლების მქონე პირი საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების (მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა) შედეგების საფუძველზე;

- საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღება პირი, რომელმაც გაიარა შემოქმედებითი ტესტი თსსა-ში. აბიტურიენტებისათვის შემოქმედებითი ტესტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ტესტირებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე.
- გარე ან შიდა მობილობის საფუძველზე, საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კონკრეტულ ვადაში დადგენილი პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში; საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში და სწავლობდნენ საზღვარგარეთ ზოგადი განათლების ბოლო ორი წლის განმავლობაში; III. იმ პირებისთვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიიღეს კრედიტები უცხო ქვეყანაში შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტების მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე (იხ. თსსა საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამაზე ,,ინტერიერის დიზაინი" მიღების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე პირების მიღებას. ინტერიერის დიზაინის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები მოთხოვნები ასევე სამართლიანი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. სამაგისტრო პროგრამაზე ,,ინტერიერის დიზაინი" მისაღები მოთხოვნები შემდეგია:

- პროგრამაში დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებსაც აქვთ აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია) არქიტექტურაში ან ხელოვნების ბაკალავრის მიმართულებით;
- ჩააბარეს ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდა და თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გამოცდა უცხო ენებში: (BII დონე);
- აპლიკანტის უნარები სპეციალობაში ფასდება წარმოდგენილი პორტფოლიოსა და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით (CV, სამოტივაციო წერილი, რეკომენდატორები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამა;
- მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის პროცედურა;
- მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის კრიტერიუმები;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- თსსა–ის ვებგვერდი http://www.art.edu.ge.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რეკომენდაციები და რჩევები არ არის.

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის, მასზე დართული დოკუმენტაციისა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამის პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების და განათლების დონის შესაბამისად. სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამები ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკულ, სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობაზე, რომლის მთავარი მიზანია სტუდენტების პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების განვითარება სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო დონის მიხედვით. ეს თეორიულად შეესაბამება სტანდარტს და მიზანშეწონილია, რომ რომ ორივე მათგანი პრაქტიკაში განხორციელდეს. აღსანიშნავია წარმოდგენილი სტუდენტური ნამუშევრების მაღალი ესთეტიკური ღირებულება და შემოქმედებითი პოტენციალი, რაც აშკარად გამოიკვეთა ადგილზე ვიზიტის დროს; თუმცა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების კუთხით, რეკომენდებულია სასწავლო გეგმის ფარგლებში პრაქტიკული კურსების შინაარსის განახლება თანამედროვე საკითხებითა და თემებით; ასევე საჭიროა მეტი მუშაობა და ჩართულობა სამეცნიერო კვლევით პროექტებში. მაგალითად, პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოსაყალიბებლად მიზანშეწონილია ძველი ტრადიციული ტექნიკის სწავლება, თუმცა, უნივერსიტეტის დონეზე

შეძენილი ეს უნარები და ცოდნა შემდეგ საფეხურზე უნდა განვითარდეს. სამეცნიერო კვლევებში ჩართულობა უნდა გაიზარდოს ბაკალავრიატის დონეზე და განსაკუთრებით, ფინალური სამუშაოს დაუფლების ეტაპზე.

საჭიროების შემთხვევაში აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო კომპონენტი ორგანიზებულია სწავლის შედეგისა და ციკლის შესაბამისად. თუმცა, მიზანშეწონილია პრაქტიკული სესიის გაძლიერება. თვითშეფასების ანგარიშში არის ინფორმაცია პრაქტიკის შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ არის ადგილი სივრცე მეტი კომპანიის მოსაზიდად. რეკომენდებულია შემდგომი მხარდაჭერა სტუდენტებისთვის, რათა მიიღონ პრაქტიკული ცოდნა ადგილობრივ კომპანიებში. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია სტუდენტების სია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საუნივერსიტეტო, საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტის შემოქმედებითი უნარების განვითარებას, თუმცა ამას რეგულარული ხასიათი უნდა მიეცეს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

ადგილზე ვიზიტი, ისევე როგორც ინტერიერის დიზაინის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები აჩვენებს, რომ როგორც პრაქტიკული, ასევე კვლევითი კომპონენტები უფრო მეტად არის განვითარებული; ბაკალავრიატისაგან განსხვავებით, მაგისტრატურის სტუდენტი რთული ამოცანების პირისპირ დგას. ისინი მეტ დროს უთმობენ სპეციალობის დაუფლებას, რადგან კრედიტების დიდი ნაწილი ეთმობა კონკრეტულ საგნებს. მაგისტრატურაში კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამეცნიერო-კვლევითი გადამზადება ტარდება ისეთი კურსებით, როგორიცაა ფუნქციონალური ანალიზი - რომელიც უშუალოდ ეხება კვლევის საკითხებს; ასევე მდიდრდება პროფესიული ტექნიკური დისციპლინების ციკლი;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბაკალავრიატი ,,ინტერიერის დიზაინი";
- მაგისტრატურა ,,ინტერიერის დიზაინი";
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- თსსა –ის კონფერენციების მასალები;
- ჟურნალია ,,აკადემია"
- თსსა–ის ვებგვერდი: www.art.edu.ge

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები:

პრაქტიკული კურსების პროცესში, კლასტერის სხვა პროგრამებთან ერთად სასურველია ინტერდისციპლინური პროექტების შემუშავება;

სასურველია კრეატიულობის გაზრდა მშენებლობისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ინტერიერის დიზაინში სხვადასხვა მასალებისა და ხელსაწყოების გაერთიანება რთული მიდგომების გამოყენებით;

სასურველია ინტერიერის დიზაინის სფეროში კომპანიებთან პროფესიული ურთიერთობების შემდგომი გაფართოება;

სასურველია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ზოგადად კვლევით პროექტებში; გაიზარდოს მათი ჩართულობა ინდივიდუალური ან აკადემიური თანამშრომლობის საფუძველზე კვლევით პროექტებში;

სასურველია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა თეორიულ კვლევით პროექტებში; მიმდინარე პროექტების რეალურ პრაქტიკაზე დამყარების უზრუნველყოფა, პროექტის აქტივობებში სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

იხილეთ ზოგადი რჩევები

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის ორივე დონის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კურსის სილაბუსები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით. თითოეული სილაბუსი ითვალისწინებს აკადემიური კურსის მიზნის მიღწევის გზებს (მეთოდებს), რომლებიც ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. თითოეული აკადემიური კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების განვითარებაზე. აკადემიური კურსები მოიცავს შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული აკადემიური კურსის სილაბუსში ასახული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს და თითოეული აკადემიური კურსის მიზნებსა და შინაარსს.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების კომბინაცია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი - რა უნდა იცოდეს და შეძლოს სტუდენტმა. აკადემიური კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის დაუფლებას და სტუდენტის ტრანსფერული უნარების განვითარებას.

საჭიროების შემთხვევაში აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლის დონეს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი კრიტერიუმების მოთხოვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, სტუდენტებისა და პერსონალის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ასევე სტუდენტთა შორის ინტერაქციას და ითვალისწინებს სტუდენტის მონაწილეობას სასწავლო პროცესში სათანადო ავტონომიითა და პასუხისმგებლობით.

ინტერიერის დიზაინის პროგრამის სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: სტუდიური სწავლება, გამოფენა, ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტების მეთოდი, მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები: შემთხვევის შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში. სტუდენტები ამზადებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კვლევით პროექტს, მის პრეზენტაციას, დისკუსია/დებატები ჯგუფური მუშაობისას და ა.შ.

სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდები ავსებენ ერთმანეთს, ან აერთიანებენ რამდენიმე მეთოდს, ან რომელიმე სხვა მეთოდს, კონკრეტული საგანმანათლებლო დავალების მიხედვით. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლა/სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამისი აკადემიური კურსის სულაბუსში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

„ინტერიერის დიზაინის" სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა განაპირობებს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენის და ზოგადი და სამრეწველო კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას; კერძოდ, სასწავლო კურსები მოიცავს სწავლების მეთოდებს, როგორიცაა საშინაო დავალება, ინდივიდუალური სამუშაო და პორტფოლიო, მოხსენებების მომზადება პრეზენტაციებისა და კონფერენციებისათვის. პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად, სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის გარკვეული „თეორიული ცოდნისა და კვლევითი სამუშაოების მრავალფეროვნება“, რომელშიც სასურველია კვლევის მეთოდების შემუშავება არა მხოლოდ ტრადიციული ტექნოლოგიების, არამედ პროგრამაში მითითებული ყველა მეთოდის გამოყენებით; კერძოდ, სტუდენტების მუშაობის შედეგებში ხაზგასმული უნდა იყოს ევრისტიკული მეთოდების მნიშვნელობა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს გააფართოოს შემოქმედების დიაპაზონი. გარკვეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, წერილობითი სამუშაო, დემონსტრაციის მეთოდი, დისკუსია, დებატების მეთოდი, გამოფენა, დემონსტრაცია, პრეზენტაციის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, შემთხვევის შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში, ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები, კონსულტაციები და სხვა. მეთოდები სრულყოფენ და ავსებენ ერთმანეთს სწავლებისა და სწავლის პროცესში. პროფესორმა შესაძლოა გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე ზემოთხსენებული მეთოდი, ან რაიმე სხვა მეთოდი კონკრეტული საგანმანათლებლო კურსის მიზნიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლა/სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამისი აკადემიური კურსის სულაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა ,,ინტერიერის დიზაინი" და სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამა ,,ინტერიერის დიზაინი" და სილაბუსები;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სტუდენტის სამუშაო;
- სტუდენტის პორტფოლიო;
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები:

პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას. გარდა ამისა, სასურველია სასწავლო პროცესში ევრისტიკული მეთოდების აქტიური გამოყენება, ვინაიდან სილაბუსებში აღწერილი სამუშაო ასახავს მხოლოდ დიზაინის მიდგომებს და მასში არ არის ასახული არც ტექნოლოგიური პროცესი და არც განათლების ახალი ფორმები;

კლასტერული პროგრამების თვითშეფასებისას სასურველია კონკრეტულად მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გავლილ ტრენინგთან/ საგანმანათლებლო მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგის შინაარსი;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: იხილეთ ზოგადი რჩევები

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სტუდენტების შეფასება დადგენილი პროცედურების მიხედვით ტარდება, ის გამჭვირვალე, სანდო და კანონმდებლობის შესაბამისია. პროგრამის განხორციელების პერიოდში, სასწავლო დისციპლინების სწავლებისას სტუდენტის შრომისუნარიანობა თითოეულ დისციპლინაში ფასდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის წესის“ მიხედვით მიღებული შეფასების სისტემის თანახმად.

აკადემიას აქვს სტუდენტების შეფასების 100-ქულიანი სისტემა. მაქსიმალური დადებითი ქულა არის 100, მინიმალური კი– 51 ქულა. გარდა ამისა, დადებით შეფასებებად ითვლება შემდეგი: A (91-100), B (81-90), C (71-80), D (61-70), E (51-60). უარყოფით შეფასებად ითვლება: FX (41-50), F (40 ან ნაკლები).

საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო კომპონენტის დაუფლება გულისხმობს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შეფასება ითვალისწინებს: დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; შუა სემესტრულ შეფასება; დასკვნითი გამოცდაზე შეფასებას.

შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში. სასწავლო კურსების წარმატებით დასრულებისათვის საჭიროა სტუდენტის აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. თსსა–ში შეფასების სქემა მარტივია და შედგება რამდენიმე

კომპონენტისგან, კერძოდ: დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება, შუალედური გამოცდის შეფასება, დასკვნითი გამოცდის შეფასება.

თსსა-ის სასწავლო პროცესის დებულების მიხედვით, სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე, თუ კონკრეტულ საგანში გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობა 50% და მეტია; სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს ეძლევა ფინალური გამოცდის ხელახლა ჩაბარების საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საერთო ქულა არანაკლებ 41–ია ფინალური გამოცდის ჩათვლით; შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი წარმოადგენს ამ შეფასებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 30%-ს, ხოლო საბოლოო შეფასების მაქსიმალური ქულის 50%-ს; თუ თსსა–ის სტუდენტის ნამუშევარში პლაგიატი აღმოჩნდება, ის არ ფასდება. სტუდენტს ეძლევა შუალედური ან დასკვნითი გამოცდის (დამატებითი გამოცდის) ჩაბარების საშუალება.

თითოეული კომპონენტის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საგნის სილაბუსში. ასევე, ყველა დონის პროგრამის სილაბუსებში აღწერილია შუალედური ან დასკვნითი გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები ნებისმიერი კურსისთვის. წარმოდგენილ პროგრამებს ერთვის ინფორმაცია საკვალიფიკაციო ნაშრომის (საბაკავრო, სამაგისტრო) შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

რაც შეეხება სადიპლომო ნაშრომების შეფასების სისტემას, ის შემდეგნაირია: ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. დისერტაციებზე მუშაობა, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო დონეზე, შედგება სამი ეტაპისგან: 1. სადისერტაციო თემის შერჩევა და დამტკიცება, რომელიც განისაზღვრება ხელმძღვანელთან კონსულტაციების შედეგად ბოლო სემესტრის პირველი სამი კვირის განმავლობაში; 2. შუალედური დაცვა, რომელიც არ ფასდება, მაგრამ დისერტაციის დაცვის ერთგვარი წინაპირობაა; 3. დისერტაციის დაცვა, რომლის დროსაც დიპლომის მფლობელი კომისიის წინაშე წარადგენს დასრულებულ ნაშრომს.

ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის შეფასების შემდეგი კრიტერიუმები და პროცენტული განაწილება მოქმედებს:

ხელმძღვანელი კურსდამთავრებულს აფასებს 30%-ით, რომელშიც გათვალისწინებულია: 1. მოცემული თემისთვის მასალების მოძიება, დამუშავება და ანალიზი (15%); 2. ინფორმაციის შეგროვების, პრობლემის განჭვრეტის, ანალიზისა და სტრატეგიის შემუშავების უნარი. კომპოზიციის კრეატიული ძიება და შემოთავაზებული ვარიანტების ღირებულება (15%).

შეფასების დიდ ნაწილს კი 70%-ს, კომისია აფასებს: 1. ობიექტის ფუნქციონალურ-გეგმარებითი გადაწყვეტა და სამშენებლო სქემასთან შესაბამისობა (15%); 2. ინტერიერის კომპონენტების (ავეჯი, დეკორატიული ელემენტები და სხვა კომპონენტები) სწორად გამოყენება და განთავსება კონკრეტულ სივრცეში მათი ფუნქციის, ფერის, ტექსტურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით (15%); ინტერიერის სივრცითი კომპოზიციის გადაწყვეტა არქიტექტურული დეტალებისა და ელემენტების გამოყენებით (15%); 4. წარმოდგენილი მასალის შესაბამისობა სადიპლომო პროექტის ძირითად მოთხოვნებთან და გრაფიკული შესრულების ხარისხთან (10%); 5. ზეპირი პრეზენტაცია (15%).

რაც შეეხება ინტერიერის დიზაინის სამაგისტრო პროგრამას, ის ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით, აქ შეფასების პროცენტული განაწილება კრიტერიუმების მიხედვით

ხდება: სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მოიცავს შემდეგ პუნქტებს: 1. მოცემული თემისთვის საკვლევი მასალის მოძიება, დამუშავება და ანალიზი (15%); 2. ინფორმაციის შეგროვების, პრობლემის განჭვრეტის, ანალიზისა და სტრატეგიის შემუშავების უნარი; კომპოზიციის შემოქმედებითი ძიება და შემოთავაზებული ვარიანტების ღირებულება (15%); 3. ინტერიერის სივრცითი გადაწყვეტა (15%); 4. ობიექტის ფუნქციონალურ-გეგმარებითი გადაწყვეტა და კონსტრუქციულ-საინჟინრო სქემა (15%); 5. ინტერიერის კომპონენტების, ავეჯის, დეკორატიული ელემენტების და სხვა კომპონენტების სწორად გამოყენება კონკრეტულ სივრცეში მათი ფუნქციის, ფერის, ტექსტურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით (15%); 6. წარმოდგენილი მასალის შესაბამისობა სადიპლომო პროექტისა და გრაფიკული დიზაინის ძირითად მოთხოვნებთან (10%); 7. ზეპირი პრეზენტაცია (15%).

როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სტუდენტების დამოკიდებულება შეფასების არსებული სისტემისა და კომპონენტების მიმართ დადებითია. აღნიშნული სქემა მათთვის გასაგები და მისაღებია და ამ მიმართულებით არაფრის შეცვლას არ ისურვებდნენ.

რაც შეეხება აპელაციის მექანიზმს, როგორც გასაუბრებისას გაირკვა, აკადემია ამ მექანიზმითაც უზრუნველყოფს სტუდენტებს. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იქნებიან კმაყოფილი გამოცდების/დაცვის შედეგით, მათ შეუძლიათ გაასაჩივრონ ქულა. სტუდენტები ინფორმირებული არიან შეფასების სისტემის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი;
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დასრულების პროცედურა;
- აკადემიის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

იხილეთ ზოგადი რეკომენაციები და რჩევები

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ გაცნობიერებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან

საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრატურისა და დოქტორანტურისსტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ან/და უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული პირებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებისგან, კონკრეტულად ესენია: დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების კოორდინატორები, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ბიბლიოთეკა, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი.

სწავლების შედეგებისა და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით აკადემიური პერსონალის განრიგი მოიცავს საკონსულტაციო საათებს, რომლის შესახებ ინფორმაცია წერია თავად სილაბუსში და სტუდენტს აქვს მასზე წვდომა. ორივე საფეხურის სტუდენტებს საშუალება აქვთ წინასწარ გაეცნონ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებს.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვდასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სტუდენტები ინფორმაციას იღებენ სხვადასხვა გზით, მათ შორის: ელექტრონული ფოსტით, საგანმანათლებლო მონაცემთა ბაზით, აკადემიის სოციალური მედიით, სატელეფონო კომუნიკაციით და ა.შ. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობა ხშირად ყალიბდება ინტერპერსონალურ დონეზე, პირდაპირი უკუკავშირით.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო და შემოქმედებით აქტივობებში. რაც შეეხება გაცვლით პროგრამებს, ამ მიმართულებით, როგორც აღინიშნა, გარკვეული წინააღმდეგობა იყო, თუმცა ისინი აპირებენ აქტიურ თანამშრომლობას უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან. აღნიშნული შენიშვნა ასევე გვხვდება თვითშეფასების დოკუმენტის გასაუმჯობესებელ სფეროებში.

რაც შეეხება სტუდენტურ მომსახურებას, აღსანიშნავია მათი უკუკავშირის ფორმები, რომელიც, პირველ რიგში, მოიცავს გამოკითხვებს. სტუდენტთა გამოკითხვა ტარდება ყოველ სემესტრში. გამოკითხვა პერიოდულ ხასიათს ატარებს, ანონიმურია და სავალდებულო. კითხვარი შედგენილია იმის დასადგენად, თუ როგორ ჩატარდა ლექციები განვლილ სემესტრში, რამდენად კმაყოფილი იყო სტუდენტი პროფესორის მუშაობით. ამ მიმართულებით სტუდენტი აფიქსირებს

თავის პოზიციას, რის შემდეგაც გამოკითხვის შედეგები გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შედეგების ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი და საგანმანათლებლო პროცესზე პასუხისმგებელ პირი ადმინისტრაციიდან. გამოკითხვის შედეგების დამუშავების შემდეგ, საჭიროებისამებრ, შემუშავდება რჩევები ან რეკომენდაციები სასწავლო კურსის ან პროფესორის მუშაობის გასაუმჯობესებლად. როგორც სტუდენტებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები დიდწილად გათვალისწინებულია.

გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტების გარდა მათ შემუშავებული აქვთ კითხვარი კურსდამთავრებულთათვისაც, რომელსაც ყოველწლიურად უგზავნიან. კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს ეს ინფორმაცია და აღნიშნეს, რომ კითხვარს ხშირად ავსებენ.

სასწავლო კურსების შეფასების გარდა, სტუდენტებს სემესტრში ერთხელ ეგზავნება კითხვარი სასწავლო პროცესისა და მატერიალური ბაზის შესახებ. გარდა ამისა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აკადემია ხშირად იყენებს ფოკუს ჯგუფის მეთოდს, რომელშიც შემთხვევითი წესით ირჩევენ სხვადასხვა აკადემიური სფეროს სტუდენტებს. შედეგები აქტიურად მუშავდება. ასევე, ინტერპერსონალურ დონეზე, მათ ხშირად აინტერესებთ სტუდენტების მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაუმჯობესდეს/რისი გამოსწორებაა საჭირო.

აკადემიას აქვს კარიერის განვითარების სერვისი, რომელიც კონსულტაციას უწევს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო სერვისები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების (პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო/სტუმარი/ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის/სკოლის კოორდინატორი ან სხვა) დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- დოკუმენტები/ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში;
- აკადემიის ვებგვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია საერთაშორისო მობილობის გაზრდა და გაცვლითი პროგრამების დამატება.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, ხშირად დაიგეგმოს სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

იხილეთ ზოგადი რეკომენაციები და რჩევები

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრნტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების საშუალებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უზრუნველყოფილია დისერტაციის შესასრულებლად საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტებით: ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დანიშვნის, დისერტაციის დასრულების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელი ინიშნება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. მაგისტრატურის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ხელმძღვანელებით. ხელმძღვანელი შეირჩევა სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, მისი გამოცდილებისა და კომპეტენციის შესაბამისად. ფაკულტეტი მაგისტრანტს უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელით, რომელსაც აქვს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად; საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული მასწავლებელი.

ხელმძღვანელი მეთვალყურეობს საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულების პროცესს; თსსა–ში დაკავებული აკადემიურ თანამდებობის დატოვება არ განაპირობებს მის უარს მაგისტრანტის ხელმძღვანელობაზე. ამ შემთხვევაში აკადემიას, მაგისტრანტის ხელმძღვანელსა და მაგისტრანტს შორის გაფორმდება ახალი ხელშეკრულება, რომელიც, გარდა მხარეთა ვალდებულებებისა, განსაზღვრავს ხელმძღვანელის ანაზღაურების პირობებს.

ხელმძღვანელი ვალდებულია რეგულარულად გაუწიოს კონსულტაცია მაგისტრანტს. სამეცნიერო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე კონსულტაციების სიხშირე განისაზღვრება ხელმძღვანელისა და მაგისტრანტის შეთანხმებით.

როგორც ინტერვიუს დროს არაერთხელ აღინიშნა, მაგისტრატურის სტუდენტებს თავად შეუძლიათ აირჩიონ სადისერტაციო თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი. მეორე მხრივ, ხელმძღვანელები გამოხატავენ მზადყოფნას ხელმისაწვდომი იყვენენ ყველა სტუდენტისთვის გარკვეულ ზღვრულ ფარგლებში. რაც შეეხება თანახელმძღვანელს, ინტერვიუს დროს აკადემიაში აღნიშნეს, რომ გარკვეული რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის ძირითადად კონსულტანტებს მიმართავენ და პროგრამებში თანახელმძღვანელის საჭიროება ჯერ არ დაფიქსირებულა.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სამი ეტაპისგან შედგება: 1. სადისერტაციო თემის შერჩევა და დამტკიცება, რომელიც განისაზღვრება ხელმძღვანელთან კონსულტაციების შედეგად წინა სემესტრის პირველი სამი კვირის განმავლობაში; 2. შუალედური დაცვა, რომელიც არ ფასდება, თუმცა დისერტაციის დაცვის ერთგვარი წინაპირობაა; 3. დისერტაციის დაცვა, რომლის დროსაც დიპლომის მფლობელი კომისიის წინაშე წარადგენს დასრულებულ ნაშრომს.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს და მის პროცენტულ განაწილებას, ის ასეთია: 1. მოცემული თემასთან დაკავშირებით საკვლევი მასალების მოძიება, დამუშავება და ანალიზი (15%); 2. ინფორმაციის შეგროვების, პრობლემის განჭვრეტის, ანალიზისა და სტრატეგიის შემუშავების უნარი; კომპოზიციის შემოქმედებითი ძიება და შემოთავაზებული ვარიანტების ღირებულება (15%); 3. ინტერიერის სივრცითი გადაწყვეტა (15%); 4. ობიექტის ფუნქციონალურ-გეგმარებითი გადაწყვეტა და კონსტრუქციულ-საინჟინრო სქემა (15%); 5. ინტერიერის კომპონენტების, ავეჯის, დეკორატიული ელემენტების და სხვა კომპონენტების სწორად გამოყენება კონკრეტულ სივრცეში მათი ფუნქციის, ფერის, ტექსტურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით (15%); 6. წარმოდგენილი მასალის შესაბამისობა სადიპლომო

პროექტისა და გრაფიკული დიზაინის ძირითად მოთხოვნებთან (10%); 7. ზეპირი პრეზენტაცია (15%).

როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, კურსდამთავრებულები არ გადიან აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების კურსებს. აღნიშნული სასწავლო კურსების არარსებობა თავის მხრივ უარყოფითად აისახება სამაგისტრო ნაშრომზე.

სამაგისტრო ნაშრომების ნახვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი თითქმის არაფრით განსხვავდება ბაკალავრიატის საფეხურზე შესრულებული სამუშაოებისგან. უმეტესწილად, მას აქვს პრეზენტაციის სახე და ძირითადად, ვიზუალურადაა გაფორმებული.

როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ნაშრომები მოიცავს მცირეოდენ კვლევას, თუმცა გასაძლიერებელია სამეცნიერო აპარატი და აკადემიური წერის უნარები. წარმოდგენილი ნამუშევრების არქიტექტონიკა, როგორც აღვნიშნე, პრეზენტაციის ფორმატს უფრო ჰგავდა. უფრო ნათელი იქნება, თუ სამაგისტრო ნაშრომს ექნება შესაბამისი სტრუქტურა - შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

გასაუბრებისას სტუდენტებმა გამოთქვეს, რომ კარგი იქნებოდა,თუ მათაც ასწავლიდნენ კვლევის მეთოდებს და აკადემიურ წერას მაგისტრატურაში. ეს, ერთის მხრივ, დაეხმარება ხელმძღვანელს არ დახარჯოს დამატებითი ძალისხმევა ნაშრომზე მუშაობის პროცესში ამ მიმართულებით და, მეორე მხრივ, სტუდენტებს, რომ შეინარჩუნონ სამეცნიერო და აკადემიური სტანდარტები თავიანთ ნაშრომებში იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ინტერიერის დიზაინის სამაგისტრო პროგრამისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეთანხმების ფორმა ან/და ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხისა და შეფასების შედეგების შეფასების მექანიზმები;
- მაგისტრატურის დებულება;
- მაგისტრატურის ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები;
- აკადემიის ვებგვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებას, განსაკუთრებით სამეცნიერო აპარატის და აკადემიური წერის სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით, რათა საკვალიფიკაციო ნაშრომმა შესაბამისი ფორმა მიიღოს.

ნაშრომებში აღნიშნული მიმართულებით ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად რეკომენდებულია აკადემიური წერის უნარ-ჩვევების და მასთან ერთად დარგის შესაბამისი კვლევის მეთოდების სწავლება სამაგისტრო დონეზე.

კლასტერის საერთო რჩევები:

მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

იხილეთ ზოგადი რეკომენაციები და რჩევები

პროგრამა 1 ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

პროგრამა 2 ინტერიერის დიზაინი (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: –

რჩევები: –

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამა 1 (ინტერიერის დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ინტერიერის დიზაინი, სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

